

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშუათ

კედამსია: სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა კედამსიისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газ. „Др о б а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულსა, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა დასაწყისით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციციროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

კედამსიას უზღუდა აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

1 სექტემბრიდან ამ წლის დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. ВЪ редакцію газеты „Др о б а“.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

ჭურჭევი, 30 აგვისტოს. ბუშინ შურევევს წინ გაჩერდა ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდი, რომელზედაც ქვევითა ჯარი იყო. ამ ხომალდიდან და შურევევადამ (რუსების მხრით) გაცხარებული ზარბაზნის სროლა შეიქნა, რომლის შემდეგაც ხომალდი წავიდა.

ეს მთელი კვირაა, რაც რუსჩუქსა და შურევევს შუა ზარბაზნის სროლაა; რუსჩუქი თითქმის სულ დატყვეულია რუსების ყუმბარებისაგან; დიდი ზიანი მიეცა აგრეთვე შურევევსაც.

მენა, 31 აგვისტოს. ვენის გაზეთებს ამბავი მოუვიდათ, რომ ბოსნიის ინსურგენტებმა (აჯანყებულებმა) გამოაცხადესო, რომ ჩვენ დავემორჩილებით ოსმალეთის მთავრობას, თუ თვით-მმართველობას (ამნისტიას) მოგვანიჭებსო.

ლონდონი, 31 აგვისტოს. გაზეთს „Times“-ს ათინილამ დეპეშა მოუვიდა, რომ საბერძნეთსა და რუსეთს შუა არავითარი მოლაპარაკება არ არის ოსმალის წინააღმდეგ ერთად მოქმედებაზედაო.

ბუხარესტი, 30 აგვისტოს. დიდის ამბით იდღესასწაულეს აქ დღეს ხელმწი-

ფე იმპერატორის დღეობა. შოველგვარი უკმაყოფილება რუსებსა და რუჰინიელებს შუა მოისპო.

პარიჰი, 29 აგვისტოს. რუსეთი და საბერძნეთი დათანხმდნენ ომში მონაწილეობის მიღების შესახებ.

სტამბოლიდან მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ ოსმალოს ჯარს ბრძანება მისვლია, რომ დაარღვევენ თუ არა სერბიელები ნეიტრალიტეტს, ამ ჯარმა იმ წამსვე დაიჭიროს სერბიის სამთავრო.

ოქმის აზვები

აზიის ბრძოლის ველიდან

შარსელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთის „Times“-ისა შემდეგ საინტერესო ცნობებს იწერება ამ გაზეთში მუხთარ-ფაშის ჯარის შესახებ:

„მუხთარ-ფაშას შარსიდან ანამდინ ჰყავს თავის ჯარები დაბანაკებული; მთელი ეს ადგილები იმას ჩინებულად გამაგრებული აქვს. პირველი იმის კორპუსი მიზნიკევის მთებზე დგას, რომელსაც შარსი დასჩერებია. მეცხე საათის სავალზე აქედამ დგას თვითონ მუხთარ-ფაშა თავის მთავარი არმიით. მოწინავე ჯარი ორი საათის სავალზედ არის დაყენებული ანიდამ, რომელიც რუსებს უჭირავს.“

„მუხთარ-ფაშის ხელქვევით ამ ქამად 60,000 კაცია; ამათში 40,000 ქვევითა ჯარია და 14,000 ცხენოსანი; მხოლოდ არტილერია კი საკმაოდ არა ყავს, სულ 36 მიწდერის ზარბაზანი აქვს და ერთი მთის ბატარგია.“

ბელგიურს გაზეთს „Judépendance Belge“-ში დაბეჭდილია კორრესპონდენცია ტრაპიზონიდან შესახებ აფხაზეთის აჯანყებისა, რომლიდანაც რამდენიმე ალაფი მოგვყავს:

„ერთი კვირა იქნება, რაც აქ მოჰყავთ აფხაზეთიდან გადმოსახლებული ხალხი; დღემდინ, 4 აგვისტომდინ, სულ 14,000 აფხაზი მოიყვანეს აქეთ; ამათგან 9,000 სულ ტრაპიზონში დასტოვეს დასახლებულად; დანარჩენები ტრაპიზონში, შარსულში და ორდუში გაგზავნეს; ამბობენ, რომ, როცა ეს ადგილები გაივსება, მაშინ ამათ სინოპში და სამსუნში გაგზავნიანო.“

„მე კვითხე ამათ გადმოსახლების მიზეზი და პასუხად მითხრეს, რომ სტამბოლიდან მოსულ ფაშებმა გვითხრესო, რომ ჩვენი ჰაზრი შეიცვალაო, ახლა აქედამ აღარ მივაწვებით რუსებსაო და ამიტომ მოყვანილი ჯარები უკანვე უნდა წავიყვანოთო; იმათ წასვლის შემდეგ, ჩვენ, რომელიც აჯანყებით და გადაუდევრით რუსის მთავრობას, იქ დასადგომი პირი არ გვქონდა, და ამის გამო ვთხოვეთ ფაშებს და წამოგვიყვანეს.“


შემოხსენებულივე გაზეთის ტრაპიზონელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ამას წინათ გამოჩენილ ოსმალოს ზღვის ადმირალმა ბობარტ-ფაშამ ორი კვირა დაჰყო აქაო და შემდეგ სტამბოლში მოიხმეს და იქითკენ გაეგზავრაო. ტრაპიზონიდან ბობარტ-ფაშას ერთი ხომალდი გაუგზავნია ქავკასიის ნავირებისაკენ იმ განზრახვით, რომ თუ სადმე რუსის ცუცხლის-გემები და სავაჭრო ხომალდები ნახოს-დაიჭიროს და მიიყვანოს ამბობენ ეს ხომალდი შოთთან მოსულა, ამოუღია ზღვიდან რუსებისაგან ზღვაში გაკეთებული ლაღები (ტორპედები) და გაუფუჭებიაო.

ევროპის ბრძოლის ველიდან

ლოფის ადების თაობაზე „მოსკოვის შუქებებში“ შემდეგი უფრო დაწვრილებული დეპეშა არის დაბეჭდილი:

„პირველად ოსმალოს ჯარი დაცა რუსებს ლოფისთან, რადგან ხედავდნენ, რომ რუსები ამ ქალაქის მახლობლად ერთობ მაგრდებოდნენ. ოსმალოს მხრით სულ 7,000 კაცი იყო, რუსებს (დენ. სკობელეცსა და იპერეტინსკის) კი 22,000 კაცი ჰყვანდათ.“

„თავგანწირვით დაეცნენ ოსმალოები რუსის ჯარს. მაგრამ ცხრაჯერ უკუ-ქცეულნი იყვნენ ისინი. ბოლოს რუსებმა წაიწვეს წინ და შერეკეს მტერი თვითონ ქალაქში. საშინელი სისხლის ღვრა, სროლა და ჩეხა მოხდა აქ. მუჩები და სახლის კედლები სისხლით შეიღება. ოსმალოებმა ველარ გაუძღეს ჩვენი ჯარის სიმხნევესა და სიმრავლესა, და იძულებული შეიქნენ, რომ ქალაქიდანაც გასულიყვნენ. ღენერალ სკობილევის (შვილის) ცხენოსანი ჯარი გაედევნა ამათ, და ამნაირად ქალაქი რუსის ხელში დარჩა.“



სამართველო

დღიური

* * ჩვენ შეეცაყეთ, რომ მუთაისის წმ. ნინოს ზავედენია წლივანდელი წლიდამ საქალემო ბიმნაზიად გადაიქცაო და ამის-დაგვარად ამ სასწავლებლის პროგრამამაც შეიცვალაო.

ამასთანავე ამბობენ, რომ წელს ოფილისის წმ. ნინოს ზავედენიასაც ერთი—მეშვიდე კლასი მოემატაო.

* * დიდ უწესოებას გვწერენ ჩვენი რკინის გზის ზოგიერთ სტანციებიდამ. სხვათა შორის, ერთმა ამ დღეებში მსანკის სტანციიდან ჩამოსულმა გვიამბო, რომ გასულს სამშაბათს, 30 აგვისტოს, ამ სტანციის ზედამხედველმა მოგზაურებს გამოუცხადაო, რომ რადგან მესამე კლასის ვაგონები არ არის, ამის გამო ვისაც ოფალისისაკენ წასვლა ჰსურს, შეუძლია (?) მეორე კლასის ბილეთი იყიდოსო.

ჩვენ გვითხრეს, რომ ამ შემთხვევაში რკინის გზაზე დაბრკოლება იმიტომ მოხდაო, რომ რუსეთიდან ახლად მოსულ ჯარს აგზავნიდნენ ოზურგეთისაკენ და თითქმის ყველა ვაგონები ამათგან იყო დაქვრილიო.

* * ამ კვირის სამშაბათს ჩვენი ქალაქიდან წავიდა წყლებზე საექიმოთ ღენე-

მე გამიხორციელდა, შემისრულდა იმედო.

მაგრამ ერთი კითხვა, ერთი საგანი უნებლიეთ წარმოამიღვა თვალწინ და არ შემეძლია ეს კითხვა არ მივსცე ჩემს მკითხველებს:

ბანა შესაძრწუნებელი, ჩასაფიქრებელი არ არის, მკითხველო, ის ჰაზრი, რომ იგივე ქართველები, რომელნიც ერთ დროს ერთი და იმავე სამშობლოს მტრის წინააღმდეგ და ერთისა და იმავე დროშის ქვეშ იბრძოდნენ, — ახლა, თოფიარალით ხელში, გამდგარან ბრძოლის ველზედ და დაუძინებელ მტრებსავით ებრძვიან ერთმანეთს?

რა სამწუხარო წასაკითხავი იქნება ერთს დროს ჩვენი შთამომავლობისათვის ჩვენი ისტორია, რომელიც ამ გვარ გარემოებას მოგვითხრობს, ამგვარ ძმა-ძმის მკვლელ ომს აგვიწერს!

როდესაც „აღმოსავლეთის ძითხვამ“ ამოჰყო თავი და მას ომი ჩერნოგორიისა და სერბიისა ომალეთის წინააღმდეგ, ჩვენი თანამოძმენი არ ზოგავდნენ თავ-

რალ-მაიორი ჩერნიავეცი. წასვლის წინათ სერბიის გმირს რამდენიმე პრემია მიუღო ტანა სახსოვრად წმ. ნინოს ზავედენიასა.

* * ამბობენ, რომ წელს სამოცამდინ იყვნენ, სხვა-და-სხვა მხრიდან ჩამოსული ყმაწვილები ჩვენს სასულიერო სემინარიაში ეგზამენების დასაჭერად და შესასვლელად. ამ რიცხვიდამ ოც-და-ოთხი მიუღიათ და მომეტებული ნაწილი ძართლ-ძახეთიდამ.

ჩვენ დაგვარწმუნეს, ვითომ იმერეთი-დამ ჩამოსული ყმაწვილები არც ერთი არ მიუღიათ წელს ამ ჩვენს სასულიერო სემინარიაში.

* * ოზურგეთიდან გვწერენ, რომ წელს საზოგადოთ ზურიაში კარგ მოსავალს მოველითო; ღომი და სიმინდი ბლომათ მოგვევაო; ყურძენი კი დაგვინაცრაო; მაგრამ არც ამ მხრით გვექნება დიდი დაბრკოლება, რადგან „ოდესა“ (იზაბელლა) ჩვენკენ ბლომად აქეთ დარგული და ამ ვაზის ყურძენს თითქმის სრულიად არ ეკარება ნაცარიო.

„დროების“ კორექსიონდენცია

მოზღოქიდან, 26 აგვისტოს. შოველ წელიწიდას მოზღოქში არის ხოლმე სამი იარამუკა სხვა და სხვა დროს: ერთი—

სა, რათა სხვერბლათ შეწირულიყვნენ ამ ომში მონაწილეობის მიღებით.

არ იფიქროთ, რომ მათ იმნაირ თავგაწირვას ჰქონოდეს ის მიზანი, რომ დაეკმაყოფილებინოთ თვით მთავრობის წადილნი და განზრახენი; არა, მიზეზი ამისი იყო შემდეგი:

სანამდის სულთან მეჯიდი შემოიტანდა ოსმალეთში ახალს ცვლილებებს, მაჰმადიანების კანონნი, სასულიერო და ახორციელო, სულ ერთიანათ შეკრებულნი იყვნენ შერიში.

ახლა ოსმალეთი განიგება ამ „შერის“ კანონებს გარდა იმ ცვლილებების ძალითაც, რომელნიც სულთან მეჯიდიმა შემოიტანა და რომელსაც თქვა „ნიზამი“ ანუ კანონი.

მაგრამ ახლაც მომეტებულ ნაწილათ სოფლის ხალხი „შერის“ კანონების ძალით განისამართლება და ეს კანონები შეადგენენ მათ სასულიერო და სახორციელო წესდებულებას.

დიდი და განუზომელი ბედნიერება არის დაპირებული იმ მაჰმადიანებისათ-

შრანსუზულს გაზეთს „Le Temps“-ში დ ბეჭდილია შემდეგი დებემა 22 აგვისტოს შორნი სტუდენიდან მიღებული:

„აქ მოვიდა ამბავი, რომ სულეიმან ფაშის არმიას ბალკანის ყველა გადასავალი ხევებიდან უკან დაუწვეია და ამ ჟამად შაზანლიყში არისო ეს არმია დაბანაკებულიო. ამბობენ, რომ სულეიმან-ფაშა ახალ ჯარს მოელის ადრიანოპოლიდამ და სოფიიდამ და მერე ხელ-ახლად იპირებს შიპკოზე დაცემასო.“

ამავე გაზეთის პორადიმელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ახლა ამბებს პლევნოსა და რუსჩუკისაკენ უნდა მოვიდეთო. მთავარ-სარდლის მთავარი კვარტირა ამ ჟამად პორადიმში არისო და აქედამ აძლევს განკარგულებას პლევნოსკენ დაბანაკებულ თავის ჯარებსაო; დ. მ. მემკვიდრე კი რუსჩუკისაკენ მყოფის რუსის ჯარების ხელმძღვანელიაო.

ახლა, როცა რუსებმა ლოჩია აიღეს მთელი იმათი ყურადღება იმაზედ იქნება მიქცეულიო, რომ პლევნას მიადგენენ ხელ-ახლად და რამდენათაც დაუჯდესთ, აიღონო. ბუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ტელეგრაფები გვაცნობებენ, რომ პლევნოს მართლა მისდგომია რუსის ჯარი და ამ ციხე-ქალაქთან ახლა გაცხარებული სროლაა.

ფელტონი

ძარტივალავი ოსმალეთში *)

სანამ გავაგრძნობდე ჩვენ ოსმალეთის თანამოძმეებზედ ჩემი შენიშვნების წერას, ათას ბოდიშს მოვიხიდი მკითხველებთან ამ განგრძელების დავიანებისათვის.

მაგრამ ის ზნეობითი კავშირი და გრძნობა, რომელიც უნდა ჰქონდეს ჩვენ მკითხველებს თავის თანამოძმე ოსმალთს ქართველებთან, მტკიცე იმედს მაძლევს, რომ ისინი არ დაიზარებენ ერთი თვალი გადაავლონ ამ ჩემს ნაწერს, რომელიც ცოტათი მაინც გაცნობს იმ საგანს, რომელსაც ის შეეხება.

რამდენიმე დღის წინათ ომის გამოცხადებამდინ, მე გამოვედი ბათუმიდამ იმ განზრახვით, რომ ჩემს სამშობლო საქართველოში მოვსულიყავ.

მე მინდოდა ვამეგო—თუ რა გრძნობა აქვს, რას ჰფიქრობს ეს ჩვენი ხალხი იმ ჩვენგამაჰმადიანებულ თანამოძმეებზედ

*) „დროება“ № 39, 1877 წ.

გაზაფხულზე, მეორე—ზაფხულში და მესამე—შემოდგომაზე.

ამათ შორის ყველაზე დიდი და მდიდარი არის ზაფხულის იარმუკა, რომელიც იწყება ღვთის მშობლის მიძინების (მარიამობის) წინეთ შეიდი დღით და თავდება მარიამობის მეორე დღეს.

ზაფხულის იარმუკის სიდიდის და ყველაფრით სიმდიდრის მიზეზი ის არის, რომ იმ იარმუკას უერთდება მიძინების დღესასწაული, რომელიც აქ, აღდგომის დღესასწაულის გარდა, ყველა დღესასწაულებზე დიდათ მიიჩნიათ. დიდი და პატარა ამ დღეს მეთად შეხარბან, რადგანაც ამას, მართლაც რომ ყველასთვის თავის სიამოვნება და სიხარული მოაქვს. ამ დღეს აქ არის ტ ძრის დღესასწაულიც; ივერიის ღვთის-მშობლის ხატს წლის განმავლობაში მხოლოდ ამ დღეს დასძრავენ და ეკლესიის გარს შემოარონინებენ.

ბევრი მლოცველები მოდიან ხოლმე ამ სასწაულ-მომქმედი ხატის სავედრებლად, ბევრი სწეული, ბევრი დახუთული და დავრდომილი ელიან მისი შეხებით განკურნებას და ამისთვის, ღმერთმა იცის, საიღამ არ მოდიან. მრთი აქაური მცხოვრები, ჩემი კარგი ნაცნობი, მარწმუნებდა, რომ ამ ხატის, ივერიის ღვთისმშობლის, სავედრებლად ერთხელ მოხლოქში მოვიდნენ პილიგრიმები არხანგელსკის ლუბერნიიდანაო!

წელს სხვა მლოცველებთა შორის

აქ იყვნენ ქართველები საქართველოდამ, შიხლიარიდამ და სხვა მოხლოქიდამ ახლო-მახლო ქართველების სოფლები-დამ.

ხუთმეტს რომ მარიამობა არის, თოთხმეტ საღამოზე ზოგი ლოცვის მოსას მენელათ და ზოგნი—უმეტესი ნაწილი—სამხერელათ და სამასხარაოთ შეიკრიბებიან ხოლმე მიძინების ეკლესიაში და მის კარგად მოხდილ გალავანში. რა საკვირველია, ეკლესიაში მიეშურებიან ხოლმე ისენი, რომელნიც მართლა სალოცავათ და არა სამასხარაოთ მოსულან; გალავანში კი რჩებიან ისეთი პირები, რომელთაც ღვთის ვედრება მეორე პლანზე გათაუდვიათ, პირველ პლანზე კი სიცილი, ხათხათი და ლამაზ სქესთან მასხარობა გამოუყენიათ.

საღამოს ცხრა საათზე გავემგზავრე მიძინების სობორში იმ ჰაზრით, რომ გამეგვას ჭეშმარიტი ხასიათი დღესასწაულისა და შემედგინოს ამ დღესასწაულზე დაახლოვებითი მართალი სჯამცა ამ დროს მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ ჯერ მთვარე არ გამოჩენილიყო და ეკლესიის გალავანის ახლო-მახლო სიბნელე სუფევდა; თვითონ გალავანი კი საკმაოდ განათლებული იყო მლოცველებისაგან გულწრფელობით ანთებული სანთლების შუქით, რომელსაც არ უშლიდნენ გალავანში გავრცელებას კარგად მოხდილი ეკლესიის ფანჯარები.

მიეუახლოვდი რა ეკლესიის გალავანს, ჩემი ყურადღება მივიქცევი უბრალებმა, ურმებმა გავსებული მსახურე-სხევი ხილათ: ვაშლით, საწაბროთი და სხ., რომელთაც მოხლოქში მცირე ფასი აძევთ მათი სიმრავლის და მკმეღ-მომხმარებლების მცირე რიცხვის მიზეზით. როგორც იყო გავძვერი ურმებს შუა და შევედი ეკლესიის გალავანში.

ზალავანი იყო სავეს სხვა და სხვა ხალხით; ზოგნი იჯდნენ, ზოგნი ხალიჩებზე და ბილიშებზე იწვნენ და ერთ-გულათ ხვრინავდნენ, ზოგნი ფეხზე იდგნენ და დრო-გამოშვებით მჯიხებს ირტყამდნენ მკერდზე და პირ-ჯვარს ისახამდნენ; უმეტესი ნაწილი კი ჯგუფ-ჯგუფად დასვირობდნენ და სიამოვნებდნენ ოსის ქალების წვრილი წელის და უცხო, მდიდრული, აღმოსავლეთის გემოზე შეიკრულის ტანისამოსის და სხვა მორთულობის ცქერით.

ეკლესია მჭიდროთ იყო გავსებული მლოცველებით და ღვთიქით ოფლი გადმოსდიოდათ პირის სახიღამ. მრთი კუთხე გალავნისა ეჭირათ გლახაკებს, მათხვარაებს, რომელთაც აქბლომათ მოეყარათ თავი. თვითთველის მათგანს ეჭირა ხელში ღრგა ხის თეფში და უღირებდა გამველ-გამომველვებს, მაგრამ, რამოდენათაც მე შეენიშნე, იშვიათად ვინმე აქცევედა ყურადღებას მათ ლოცვა-ხვეწას და საწყლების ღრმა თეფშებს ბსკრებიც არ ჰქონდათ გროშებით მო-

ვის, რომლებიც დაიცვავენ ამ „შერიში“ მოხსენებულთ წესებს. ამასთანავე მათი ნაციონალური გრძობა სარწმუნოებზეა დაფუძნებული.

„შერის“ კანონები, შესახებ ომისა, უცხადებს, რომ რომელიც თავს გაიწირავს და ჩხუბში მოკვდება, იგი „შეინხად“ (წვალებულად) შეირიცხება სარწმუნოებისათვის და სამოთხეში შევაო.

ამ წაირად საკმაო არის მსმალოს მთავრობისათვის, რომ, მაჰმადიანების გრძობის გასაღვიძებლად, ჩააგონოს ხალხს, რომ ის სარწმუნოებისათვის ომობს.

×

როდესაც რუსეთმა საქიროთ დაინახა რათა ხმა ამოეღო, იმ უთანხმოების დასაბოლოებლათ, რომელიც არსებობდა მსმალეთსა და ინსურგენტებს შორის, დიდი მოძრაობა შეიქნა საზოგადოთ მთელს მსმალეთში; მოლლებმა და ულემებმა დაიწყეს ქადაგება ხალხში, რომ აედო იარალი და დაეცვა მისი სარწმუნოება, რადგანაც „გიაურებს“ სურსთ ჩვენი სარწმუნოების დაღუპვაო.

მაჰმადიანები უწოდებენ „გიაურის“ სახელს ყველა იმ ხალხთ, რომლებიც არ ექვემდებარებიან მათ სარწმუნოებას; მხოლოთ დიდ განსხვავებას ნახათ სხვა ნაციის „გიაურსა“ და „მოსკოვის (რუსეთის) გიაურს“ შუა: ამ უკანასკნელებზე იმათ გულში არის შეუბრალებელი სიძულვილი აღძრული, რადგან მათში (ჰხედვენ მძღავრს და მათი სარწმუნოების დამამცირებელს მტერს.

შემო-ხსენებული სარწმუნოების გრძობას ეს სიძულვილიც რომ დაუმატოთ, მაშინ დავრწმუნდებით—თუ რაოდნათ მაჰმადიანები თავს გამოიმეტებდნენ და მონაწილეობას მიიღებდნენ ომში.

×

ძიღვე უნდა მოგახსენოთ—თუ რას ჰფიქრობდა მდაბიო ხალხი რუსეთის მოძრაობაზე: ჩვენმა ფაჰდიშამ (ხემწიფემ) შეიტყოვო, ამბობდა ხალხი, რომ მოსკოვის ყიჰრალი (იმპერატორი) ინსურგენტებს ჩუმათ ეწვეაო და სთხოვსო სამაგიეროსო, ე. ი. რომ რუსეთს ეზლო მსმალეთისთვის ყოველი ზიანი, რაც მას მიეცა ომის გამო.


სერბიელების დამარცხება მათ დიდს იმედს აძლევდა და არწმუნებდა, რომ რუსეთსაც დაამარცხებდნენ და გარდუხდიდნენ სამაგიეროს.

×

ჩვენი გამაჰმადიანებული თანამოძმენი როგორც მტკიცე-მორწმუნენი, ძალიან თანაუგრძობდნენ ამ ომს და არ ზოგავდნენ თავს არც თავიანთი თავის შეწირვით და არც სხვებრივ, ასრე რომ როდესაც, ამ უკანასკნელი დროებში, მსმალეთის ფინანსი სუსტ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მთავრობა იძულებული გახდა მიემართა ხალხისთვის შემწეობის მისაღებათ, ჩვენ თანამოძმეთა არ დახედეს თავის სიღარიბეს, მაინც არა დაიშურვეს-რა მთავრობისათვის.

მხოლოთ ამ საზოგადო მოსაზრებით აიხსნება ის—თუ რა იყო მათი მიზანი ომში ამნაირ აღტაცებული მონაწილეობის მიღების დროს.

(დასასრული შემდეგ №-ში.)



ფარული. ხშირად ესენიც შეიკრიბებოდნენ ხოლმე ერთ წრეთ და ერთგულათ მღეროდნენ „ლაზარეს“ მშვენიერ კილოზე და მშვენიერი დაწყობით და ამით მხოლოდ იქცევდნენ თავის თავზე სხვების ყურადღებას.

შველა ამ სანახავეების მეტად მე გამაცივრა მლოცველების ოთხზე სიარულმა. მომეწყინა რა ეკლესიის გალავანში ფეხზე დგომა, მე ვიფიქრე სახლში დავბრუნებულეიყავ, მაგრამ არ მინდოდა ისე დავბრუნებულეიყავ უკან, რომ არ შემეხებდნოს ეკლესიაში. ამიტომ მე მივმართე ეკლესიის კარებისაკენ, მივსწი-მოვსწიე ხალხი და როგორც იყო მიუახლოვდი; მაგრამ აქ კი უნდა გავჩერებულეიყავ, რადგანაც გზის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა: ეკლესიის გარშემო ფეხშიშველნი, თავ-ლიანი, მუხლებზე და ხელის გულზე ოთხით ელიდნენ მლოცველები, რომელთაც შეუწყირავთ რამდენჯერმე ოთხით შემოაუარონ ეკლესიას.

ზოგოლოვდი

(დასასრული შემდეგ №-ში)

განსხადებანი

გაკვეთილები

რეტიულის და პრაქტიულის ბუნ-
ლალტერისა ორ-გვარის
 ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სან-
 ვაქრო, კომისიურის და აგრეთვე **სამა-
 ზრო არითმეტიკისა.**

აღრმის: ლაბორატორიის ქუჩა, ნამეს-

ტნიკის ბალის პირ-და-პირ, ჰააროვის სახლებში, № 14.

მ. ხაჩატუროვი
(3-1)

მესათმს და მახანიკოსს რუ- ბენ ნაკაშიანს

აქვს პატივი პატივცემულ თეოდოსის საზოგადოებას აცნობოს, რომ ის ამყოფება თამბაქოს ფაბრიკანტის უფ. ნიკოლოზ ბოზარჯიანის მალაზიაში (დენერალ-მიორის არწრუნის ქარვასლაში, შტაბის გვერდით) და იღებს **ზასაქათაგალად საათებს და საქარავ და აგრეთვე სხვა ყოველგვარ მაშინებს.**

შაკეთებ აგრეთვე მალაზიებისათვის ფარდებს, მზისაგან დასაფარებელად; ამ ფარდებს ის უპირატესობა აქვს, რომ უსვეტოთ არის გაკეთებული და მეხანიკურის ბორბალით შეიძლება იმის აწევა და დაწევა.

ინსპექცია **საშეაფვილო ბაღისა** და მასთან ერთად **პირველ დაწყებითი სწავლის უკოლისა** (უწინ ქაბას მეფელოს) ამით აცხადებს, რომ ორთავე სქესისა და ხალხობის გაურჩევლად ყმაწვილების მიღება დაიწყება ამ წლის 20-ს აგვისტოდამ.

იქ ყმაწვილების მშობლები, რომელთაც აქამდისინ თავიანთი შვილები შაბას მეფელესთან ჰყავდათ, თუ რომ მოისურვებენ, შეუძლიანთ ამ 20-ს აგვისტოდამ ხელახლავ ჩასწერონ თავიანთი შვილების სახელი და გვარი **საშეაფვილო ბაღის** და მასთან **პირველი დაწყებითი სწავლის უკოლის** სიაშიდ.

საკმაწვილო ბალი და პირველ დაწყებით სწავლის უკოლა 1-ს სექტემბრიდამ გადადის მელიამინოვის ქუჩაზე, თ.

ნაპალონ ამატუნის **სახლებში** შედგება ეტაჟში.

მისაც ჰსურთ ვიბარონ თავიანთი შვილები, ინსპექცია თხოულობს 1-ს სექტემბრიდამდინ მიმართონ—კერძო რეალურ სასწავ. მქონს უ. ტავაკალოვთან, სასწავლებლის სადგომზედ რომელიც იმყოფება საღვთის ქუჩაზე, უშადინოვის სახლებში, ხოლო 1-ს სექტემბრიდამ-პირ და პირ საყმაწვილო ბალი და პირველ დაწყებითი სწავლის უკოლის ინსპექციას თ. ამატუნის სახლებში

შუთისში მიიღებენ შეაფვილას საშუალ სასწავლებლების მესამე კლასამდინ **მოსამაზადებელად.**

მსურველს შეუძლიან იკითხოს „კოლხი დის“ სასტუმროში მადამ დიუპონი.

დაიბაჰდა და გაიკვიდა სტამბიდა

ლექსი
თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის
გარდაცვალებაზედ
 თავის სურათით
 თქმული

დავით ბივიშვილისაგან **ისუიდა** სხვა და სხვა წიგნის მალაზიებში.

შასი ყველგან ორი შ.ური.

გამოდელი და განათლებული ჯალი, რომელმაც იცის რუსული, ფრანგული, ანგლიური და ნემენტური, აძლევს **უროკებს** იაზ ფასათ.

მსურველს ამ ქალის ნახვისა, შეუძლიან მიჰმართოს მადამ პანონიჩს. ტეტრალოვის სახლებში **მერაქსის** ქუჩაზე.

რ.კ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 28 აგვისტოს		თფილისი, 1 ენკენისთვე	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მუთაისს, შოთს	1	მართი ანეთი ლოს:		შქე. თფ. ბანკისა, ფთ.	1 45
ბორი	11 58	9 43	40	23	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქეილი წითელი.	1 30
ხაშური	1 29	11 57	3	92 2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	პარიჟში 259 სანტიმი.	81	ქერი ფუთი.	1
სურამი	1 44		4	42 2 46	პეტერბურგს, მარშავს	2	მსკონტი(სარგებლისფასი)	7 1/2	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	6 50
ქვირილა	5 49		5	81 3 23	ოსმალეთში, შევიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი.	8
რიონი	6 47		6	75 3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი(პირველისფასი)	208 25	ბაპენტილი ბამბა ფთ.	8 50
სამტრედი	7 41		7	73 4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	208 75	მატყელი თუშური ფთ.	5
ახ.-სენაკი	—		8	57 4 76	ვოშტა		ბირაოს ფურცლები:		— თრაქაშისა ფთ.	3 40
ფოთი	9 40		9	75 5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდი. ორშ. და სამშ.		თფილ. სააზნ. ბანკისა.		აბრეშუმი ნუბური სტ.	2
შოთი	9 13				ბ) მუთაისიდან: მ.ზურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს — სამშ. და შაბ.		ხერსონის ბანკის (5%)	85 25	ქონი, ფუთი.	5
ახ.-სენაკი	—		1 18	66	თფილისისა და მუთაისიდან — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს — ორშ. და პარასკ.		მოსკოვის (5%).	85 50	ქონის სანთელი ფუთი.	6 40
სამტრედი	11 16		2 6	1 14			აქციები:		სტეარინის სანთელი, ფ.	11 40
რიონი	12 13		3 4	1 69			მდების საეჭრო ბანკის	177	ხორცი ძროხისა, ლიტ.	54
ქვირილა	1 18	ლაშე	3 9	2 21			შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრა	63
სურამი	5 12		1 10	5 3 2 96			შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	სპირტი, გრადუსი	12
ხაშური	5 39		1 37	5 8 4 3 24			ქავკაზის და მერკურისა.	225	შეკარი, ბროც. ფუთი.	8
ბორი	7 5		4 8	7 36 4 9			პირე. საზღვევ. საზოგ.	745 50	— ფხენილი ფუთი.	7 20
მცხეთა	8 50		6 59	9 8 5 4			პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	ქვეა გრვგალი, ფუთი.	32
თფილისი	9 31		7 56	9 7 5 4 2			მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	ზეთი ქუჩუქუთისა ფუთ.	8 50